ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 358

7 დეკემბერი
"___" _____ 2018 წ.

ქ. თბილისი

"ქ. თბილისში, კახეთის გზატკეცილსა და შერვაშიძის ქუჩას შორის მდებარე 900 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.08.075.025), ქ. თბილისში, საქართველოს ერთიანობისათვის მებრძოლთა ქუჩაზე მდებარე 1817 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.20.001.108), ქ.თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრზე მდებარე 1367 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.72.14.007.615), ქ.თბილისში, ნუციბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ 2173 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.11.001.168), ქ.თბილისში, წურწუმიასა და ნ.ირბახის ქუჩების გადაკვეთაზე არსებული 1000 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.17.01.050.017) შპს „კაზ ფროფერთი მენეჯმენტ ისთ"-ისთვის (ს/კ: 404520363) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის N130 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ამავე კოდექსის 127[2] მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. „ქ. თბილისში, კახეთის გზატკეცილსა და შერვაშიძის ქუჩას შორის მდებარე 900 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.08.075.025), ქ. თბილისში, საქართველოს ერთიანობისათვის მებრძოლთა ქუჩაზე მდებარე 1817 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.20.001.108), ქ.თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრზე მდებარე 1367 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.72.14.007.615), ქ.თბილისში, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ 2173 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.11.001.168), ქ.თბილისში, წურწუმიასა და ნ.ირბახის ქუჩების გადაკვეთაზე არსებული 1000 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.17.01.050.017) შპს „კაზ ფროფერთი მენეჯმენტ ისთ"-ისთვის (ს/კ: 404520363) პირდაპირი განკარგვის წესით

სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 11 იანვრის №02.16.32 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 21 ნოემბრის N18.938.1346 განკარგულების შესაბამისად, “ქ. თბილისში, კახეთის გზატკეცილსა და შერვაშიძის ქუჩას შორის მდებარე 900 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.08.075.025), ქ. თბილისში, საქართველოს ერთიანობისათვის მებრძოლთა ქუჩაზე მდებარე 1817 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.20.001.108), ქ.თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრზე მდებარე 1367 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.72.14.007.615), ქ.თბილისში, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ 2173 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.11.001.168), ქ.თბილისში, წურწუმიასა და ნ.ირბახის ქუჩების გადაკვეთაზე არსებული 1000 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.17.01.050.017) შპს „კაზ ფროფერთი მენეჯმენტ ისთ“-ისთვის (ს/კ: 404520363) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის N130 განკარგულებაში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

ა) განკარგულების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრზე მდებარე 1367 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.007.615), ქ. თბილისში, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ 2173 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.10.11.001.168) და ქ. თბილისში, წურწუმიასა და ნ. ირბახის ქუჩების გადაკვეთაზე არსებული 1000 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.01.050.017) შპს „კაზ ფროფერთი მენეჯმენტ ისთ“-ისთვის (ს/კ 404520363) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე“;

ბ) განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრზე მდებარე 1367 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.007.615), ქ. თბილისში, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ 2173 კვ.მ მიწის ნავეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.11.001.168) და ქ. თბილისში, წურწუმიასა და ნ.ირბახის ქუჩების გადაკვეთაზე არსებული 1000 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.01.050.017) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით შპს „კაზ ფროფერთი მენეჯმენტ ისთ“-ისთვის (ს/კ 404520363) გადაცემაზე, ბენზინგასამართი სადგურებისა და ელექტრომობილების დამმუხტველი/სატუმბი საშუალების განთავსების მიზნით, თანდართული საიჯარო პირობების შესაბამისად.

გ) განკარგულების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთების საიჯარო ქირის წლიური საფასური - 77 710 (სამოცდაჩვიდმეტი ათას შვიდას ათი) ლარი.

დ) განკარგულებაზე თანდართული საიჯარო პირობების:

დ.ა) მე-3 მუხლის 3.1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3.1. იჯარით გადაცემული მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური შეადგენს 77 710 (სამოცდაჩვიდმეტი ათას შვიდას ათი) ლარს (შემდგომში„სარგებლობის ქირა“).“;

დ.ბ) მე-20 მუხლის 20.5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) არაუმეტეს 25 თვის განმავლობაში უზრუნველყოს N01.72.14.007.615, N01.10.11.001.168 და N01.17.01.050.017 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე (შემდგომში ერთობლივად „გადაცემული ქონება“) 3 (სამი) ერთეული ბენზინგასამართი სადგურის მშენებლობის დასრულება, კანონმდებლობით დადგენილი წესით ექსპლუატაციაში მიღება და აღჭურვა;“.

2. შეთანმხდეს შპს „კაზ ფროფერთი მენეჯმენტ ისთ“-ის (ს/კ 404520363) მიერ გადახდილი N01.19.20.001.108 და N01.17.08.075.025 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების საიჯარო ქირის წლიური საბაზრო ღირებულების ოდენობის, მოიჯარის მიერ მომავალში გადასახდელ საიჯარო ქირის საფასურში ჩათვლის საკითხი.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 339

7 დეკემბერი
"___" _____ 2018 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, დგებუაძის ქუჩა N1-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.13.08.001.007.01.550) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „სმენადარღვეულ ბავშვთა აბილიტაცია/რეაბილიტაციისა და განვითრების საქველმოქმედო ფონდი აი ია"-სთვის (ს/ნ: 404494935) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6, მე-8 და მე-9 პუნქტების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 **მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის,** მე-12 და მე-13 პუნქტების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, `ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, დგებუაძის ქუჩა N1-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.13.08.001.007.01.550) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „სმენადარღვეულ ბავშვთა აბილიტაცია/რეაბილიტაციისა და განვითრების საქველმოქმედო ფონდი აი ია"-სთვის (ს/ნ: 404494935) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 31 ოქტომბრის №18.881.1257 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, დგებუაძის ქუჩა N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.13.08.001.007.01.550), სარდაფის სართულზე არსებული 376 კვ.მ ფართის (მათ შორის I დონე 319.76 კვ.მ და II დონე 56.48 კვ.მ), არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „სმენადარღვეულ ბავშვთა აბილიტაცია/რეაბილიტაციისა და განვითრების საქველმოქმედო ფონდი აი ია"-სთვის (ს/ნ: 404494935) პირდაპირი

განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე, სარეაბილიტაციო ცენტრის ფუნქციონირების მიზნით, უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულების გაფორმებიდან (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ -ქონების მართვის სააგენტოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაცნობიდან) 2 (ორი) წლის ვადაში არანაკლებ 235 000 (ორას ოცდათხუთმეტი ათასი) ლარის ინვესტიციის განხორციელების პირობით, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით განსაზღვრული უსასყიდლო უზუფრუქტის პირობების შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**